ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის

მონიტორინგის ანგარიში

2017 წელი

გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) არის გაერთიანებული ერების სააგენტო, რომელიც გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის დაარსების მიზანს წარმოადგენს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგონათა ინტერესების დაცვა და მათი პრიორიტეტების დაკმაყოფილება.
გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს გაერთიანებული ერების წევრ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის მიღწევის საყოველთაო სტანდარტების შემუშავებაში; თანამშრომლობს მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ამ სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის, პოლიტიკის, პროგრამებისა და მომსახურების შექმნის პროცესში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა თანაბარ მონაწილეობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ხუთ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა ლიდერობისა და მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა; სამშვიდობო და უსაფრთხოების პროცესების ყველა ასპექტში ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და გენდერული თანასწორობის პრინციპების, როგორც მნიშვნელოვანი პრიორიტეტის, ინტეგრირება ქვეყნის განვითარების დაგეგმვისა და ბიუჯეტის განსაზღვრის პროცესებში. ამასთან, გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახორციელებს გაეროს სისტემაში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და წახალისებას.
წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (United Nations) ან რომელიმე მისი წევრი ორგანიზაციის მოსაზრებებს.
გამოცემა მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)

სარჩევი

შესავალი 4

მონიტორინგის მეთოდოლოგია..... 5

მიმართულება I: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია..... 7

შესაბამისი უწყებების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება 7

ინსტიტუციური მექანიზმების სრულყოფა.....12

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე..13

მიმართულება II: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთა..... 19

საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგება 19

რეფერირების მექანიზმი 22

მიმართულება III: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვა და დახმარება..... 24

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები 24

მიმართულება IV: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) მონაწილეობა 26

სამართალდამცავთა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება 27

სამართალდამცველთა დამოკიდებულებების შეფასება.....28

დაცვისა და დახმარების მექანიზმების შეფასება.....29

რეკომენდაციები..... 31

შესავალი

ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევის გავრცელებული ფორმაა და აბრკოლებს გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესს, რადგან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ყველაზე ხშირად ქალია.

კანონმდებლობის მოწესრიგების, მხარდაჭერის სერვისების გაძლიერებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებების ეფექტიანობა და საზოგადოების დამოკიდებულება, რაც ხშირ შემთხვევაში ძალადობრივი ქცევის გამართლებაში გამოიხატება. წინამდებარე ანგარიში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის [1] მონიტორინგის შედეგებს წარმოადგენს. მონიტორინგის მიზანი იყო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებისა და მიღწეული შედეგების ეფექტიანობისა და გავლენის შეფასება. გარდა ამისა, მონიტორინგი მიზნად ისახავდა არსებული ხარვეზების გამოვლენას და რეკომენდაციების შემუშავებასაც.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა 4 ძირითად მიმართულებას მოიცავს: ძალადობის პრევენციას, აღკვეთას, მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვასა და დახმარებას, ასევე, მათ მონაწილეობას პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში.

მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმა სცდება მხოლოდ ოჯახში ძალადობის საკითხებს და ფარავს ქალთა მიმართ ძალადობის ისეთ პრობლემურ ფორმებს, როგორიცაა სექსუალური ძალადობა და ადრეულ ასაკში ქორწინება. შესაბამისად, სამოქმედო გეგმა თავის თავში მოიაზრებს გენდერული ნიშნით ძალადობის თავისებურებებს და ამ ნიშნულით უფრო უახლოვდება ევროპის საბჭოს კონვენციის შინაარსს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ[2]“ (სტამბოლის კონვენცია).

სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიური სტანდარტის შექმნა, რაც, საერთო ჯამში, ხელს უშლის პრობლემის

[1] გეგმა დამტკიცებულ იქნა 2016 წლის 21 ივლისს საქართველოს მთავრობის N 341 დადგენილებით: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3350284

[2] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 5 აპრილის დადგენილებით: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3634265

შეფასებას და საჭიროებებზე მორგებული პროგრამების/სერვისების დაგეგმვას და განხორციელებას.

ძალადობის პრევენციის მიმართულებით, მონიტორინგმა გამოავლინა, რომ შიდა უწყებრივი ტრენინგებისა და შესაბამის მიზნობრივ ჯგუფებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა არასაკმარისია და ვერ პასუხობს ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებულ მცდარ შეხედულებებს. ამ დრომდე არ მომხდარა ძალადობის საკითხების პროფესიულ პროგრამებში ინტეგრირება და დანერგვა, რაც დამატებით ბარიერს უქმნის გენდერულ საკითხებზე მგრძნობელობის ამაღლებას. ამასთან, კვლავ დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობის მაჩვენებელი.

და ბოლოს, ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მაჩვენებელთან. შესაბამისად, იმისათვის, რომ ძალადობის მსხვერპლმა თავი დააღწიოს ძალადობრივ გარემოს, აუცილებელია დახმარების მექანიზმების არსებობა (გარდა ერთჯერადი კომპენსაციისა), რომელიც ქალს შესაძლებლობას მისცემდა დამოუკიდებლად ეცხოვრა და მისთვის აუცილებელი საქმიანობა დაუბრკოლებლად და წინააღმდეგობების გარეშე განეხორციელებინა.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

საქართველოს მთავრობის N341 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეთხოვა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელება.

მონიტორინგის პირველ ეტაპზე, სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ინფორმაცია გამოითხოვა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განმახორციელებელი სამთავრობო სტრუქტურებისგან.[3] ჩატარდა 8 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა ოჯახში ძალადობის

[3] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს მთავარი პროკურატურა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; პირის ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭო; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს საერთო სასამართლოები; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლა; სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი;

მსხვერპლებთან/დაზარალებულებთან შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, გორი, სიღნაღი, ახალქალაქი, მარნეული, ბათუმი და ოზურგეთი. ინტერვიუები ჩატარდა 45 ძალადობის მსხვერპლთან/დაზარალებულთან, რომელთა ნაწილიც სარგებლობდა, ან უსარგებლია სახელმწიფო თავშესაფრის სერვისით.

ამასთან, თბილისსა და ოზურგეთში მოეწყო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.[4] შეხვედრების მიზანი იყო ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების შესრულების შეფასება, პრობლემების გამოკვეთა და ახალი სამოქმედო გეგმისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

მონიტორინგის მეორე ეტაპზე დამუშავდა როგორც გამოთხოვილი კორესპონდენცია, ისე ფოკუს ჯგუფების და სამუშაო შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაცია და მონიტორინგისას გამოვლენილ შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა სპეციალური ანგარიში, რომელშიც აისახა რეკომენდაციები კონკრეტული საქმიანობებისა და უწყებების მიმართ.

აქვე, აუცილებელია, საგანგებოდ აღინიშნოს კვლევის მეთოდოლოგიური სირთულის განმაპირობებელი გარემოებები. კერძოდ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა ხშირად არ შეესაბამებოდა სამოქმედო გეგმით დასახულ მიზნებს, და შესაბამისად, რთული იყო მისი მიღწევის შეფასება. ასევე, უწყებების მიერ მოწოდებულ პასუხებში ხშირი იყო შეფასებითი კატეგორიებით მსჯელობა (მაგ.: „თანაბარი მონაწილება უზრუნველყოფილია“, „გენდერული თანასწორობის პრინციპები გათვალისწინებულია“ და ა.შ.) რამაც კიდევ უფრო გაართულა უწყებების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში კონკრეტული საქმიანობების შედეგების შეფასება.

გარდა ამისა, 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში იყო გარკვეული ხარვეზები ამოცანის, საქმიანობისა და ინდიკატორების შესაბამისობასთან დაკავშირებით, კერძოდ, კონკრეტული ინდიკატორის მიღწევა არ ასახავდა უწყების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა საქმიანობის შესრულებას. ამასთან, სასურველია, შემდეგი სამოქმედო გეგმის გაწერისას, მითითებული ინდიკატორების გაზომვა შესაძლებელი იყოს არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი თვალსაზრისითაც და ამ მიზნით, გეგმაში ჩაიდოს შესრულების ხარისხის გაზომვისათვის აუცილებელი მექანიზმები.

საზოგადოებრივი მაუწყებელი; სტატისტიკის ეროვნული სამსახური; სოციალური მომსახურების სააგენტო; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; ადრეული ქორწინების პრევენციის საკითხებზე სამუშაო ჯგუფი; სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია; სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

[4] ფოკუს ჯგუფის შეხვედრაში თბილისში მონაწილეობდნენ: „საფარი“, „სახლი“, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქალთა საბჭო“, იგპ ასოციაცია „თანხმობა“ და ასოციაცია „მრავალეროვანი საქართველოს ქალები“ ხოლო ოზურგეთში - „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“.

მიმართულება I: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია

ეროვნული სამოქმედო გეგმის პირველი მიმართულება, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის, მიზნად ისახავს ეროვნული რეფერალური მექანიზმის შექმნას, შესაბამისი უწყებების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდასა და დამოკიდებულების ცვლილებას ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.

შესაბამისი უწყებების წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება

სამოქმედო გეგმის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ სოციალური ნორმების, დამოკიდებულებების და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პრევენციის ხელშემწყობი მექანიზმების დასანერგად, მნიშვნელოვანია უწყებებს ჰქონდეთ შესაბამისი კომპეტენცია და შესაძლებლობები. ამასთან, მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები საერთაშორისო და ეროვნულ ინსტრუმენტებს უნდა შეესაბამებოდეს[5](1.1).

სახელმწიფო უწყებების მხრიდან საკითხის მასშტაბურობის გასააზრებლად, და ამ თემაზე ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით, ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, მნიშვნელოვნად მიიჩნა, პროფესიული ტრენინგების ჩატარების გზით, განმახორციელებელ უწყებებში დასაქმებულთა მგრძნობელობის ამაღლება.

განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებიდან მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ აღნიშნული საქმიანობა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გარდა, რომელსაც, სამოქმედო გეგმის ფარგლებში არანაკლებ 6 ტრენინგის ჩატარება ევალებოდა და საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 2 ტრენინგი ჩაატარა, ყველა უწყებამ სრულად განახორციელა.

ცხრილი N1: ეროვნული რეფერალური მექანიზმის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით ჩატარებული პროფესიული ტრენინგების რაოდენობა 2016-17 წლებში[6]

უწყება	ტრენინგები	მონაწილეთა რაოდენობა	შესრულების ინდიკატორი

[5]ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW); „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (სტამბოლის კონვენცია), კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.

[6] ცხრილი ასახავს უწყებათა მიერ განხორციელებულ საქმიანობას 2017 წლის ივნისის მდგომარეობით.

მთავარი პროკურატურა[7]	6	130 პირი	არანაკლებ 4
შინაგან საქმეთა სამინისტრო[8]	18	375 პირი	არანაკლებ 4
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	2	47 პირი	არანაკლებ 6
სოციალური სააგენტო	18	არ მოგვეწოდა	არანაკლებ 8
იუსტიციის უმაღლესი სკოლა	4	არ მოგვეწოდა	არანაკლებ 2
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	4	არ მოგვეწოდა	არ არის განსაზღვრული
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	6	100 პირი	არანაკლებ 2
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო[9]	4	2000-ზე მეტი მოსამსახურე	არანაკლებ 1
ადვოკატთა ასოციაცია და იურიდიული დახმარების ცენტრი	13	345 პირი	არანაკლებ 6

აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემად რჩება ტრენინგის შემდგომი შეფასების მეთოდოლოგიის არარსებობა, რის გამოც შეუძლებელია ტრენინგის შედეგად მიღწეული პროგრესის გაზომვა, რაც საქმიანობის შესრულების ხარისხობრივი შეფასების საშუალებას მოგვცემდა.

ჩატარებული ტრენინგები, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, ცალსახად არასაკმარისია, განსაკუთრებით, სამართალდამცავი უწყების თანამშრომელთა ხშირი როტაციის, მუდმივი გადანაცვლებისა და სიტუაციური ცვლილებების გამო.

---

[7] საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი #13/36624; 05.06.2017; საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს ეროვნული რეფერალური მექანიზმის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით, თანამშრომლებისთვის გაიმართა 6 ტრენინგი და გადამზადდა 130 მონაწილე, მათ შორის პროკურორები, საშუალო რგოლის მენეჯერები, სტაჟიორები და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები.

[8] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი #MIA 51701706044; 17.07.2017; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016-2017 წლებში, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ჯამში გაიმართა 18 ტრენინგი და გადამზადდა 375 პოლიციელი[8], მათ შორის უბნის ინსპექტორები და პატრულ-ინსპექტორები.

[9] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წერილის (N MOC 9 17 00446860, 13/06/17) თანახმად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ტრენინგები: 2016 წელს, მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის ქალების) უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ეფექტიან კომუნიკაციასთან, აგრესიის, ძალადობრივი ქცევის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და „ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა“. 2017 წელს - „სარეაბილიტაციო პროგრამები და მათი მნიშვნელობა“.

სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობის შესრულების ერთ-ერთ ინდიკატორად სსიპ „112“-ში დაფიქსირებული შეტყობინებების, გამოცემული შემაკავებელი ორდერისა და ოჯახში ძალადობის გამო გამოძიების დაწყების მაჩვენებელი იქნა მითითებული. აღნიშნული ინდიკატორები შესრულებულია, რადგან სამართალდამცავი უწყებებისა და საზოგადოების მხრიდან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება გაზრდილია[10], თუმცა ამან კიდევ უფრო მწვავედ წარმოაჩინა მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ერთიანი, ეფექტიანი სისტემის შემუშავების საჭიროება, რაც მოძალადის განრიდებისა და ქცევის კორექციის, მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციისა და რისკის შეფასებისა და დამცავი და შემაკავებელი ორდერების მონიტორინგისათვის, უწყებებს შორის ეფექტიან და კოორდინირებულ მუშაობას გულისხმობს.

ამავე ამოცანის შესასრულებლად, სამოქმედო გეგმით გაიწერა ჯანდაცვის სამინისტროს ვალდებულება, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[11], 2016 წლის ივლისიდან[12], გადაიხედა და ჩამოყალიბდა ტრენინგ მოდული, რომელიც სამედიცინო მუშაკების მიერ ძალადობის ეფექტიანი გამოვლენისა და მართვის მიზნით შეიქმნა, ხოლო უწყების თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებლად, 2016 წელს ჩატარდა 2 დღიანი ტრენინგები, რომელთა ფარგლებშიც, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, 47 ექიმი გადამზადდა. მოწოდებული ინფორმაციით, უწყებას, 2017 წლის პირველ ნახევარში, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენინგები ჯანდაცვის პროფესიონალებისათვის არ ჩაუტარებია.

სამოქმედო გეგმა ამავე საქმიანობის შემსრულებელ უწყებად გამოყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებს, რომელთაც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამშრომლებისთვის ტრენინგები უნდა ჩაეტარებინათ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე[13].

---

[10] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით გამოცემულ შემაკავებელი ორდერის რაოდენობამ შეადგინა 1845. მათგან მსხვერპლი იყო 1580 ქალი, ხოლო 216 კაცი. მოძალადე - 157 ქალი, ხოლო 1557 კაცი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175[2] (შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა) მუხლით გამოვლენილი სამართალდარღვევის 155 შემთხვევა და 144 სახდელდადებული პირი დაფიქსირდა. გამოვლინდა ოჯახში კონფლიქტის 231 შემთხვევა. დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამუშავებული მონაცემები, რომელიც ასევე მოიცავს ძალადობის ფორმებს. 2017 წლის 6 თვის მონაცემებით, ძალადობის ფორმების რაოდენობა შემდეგნაირია: ფსიქოლოგიური ძალადობა - 1777; ფიზიკური - 462; ეკონომიკური - 65; სექსუალური - 3; იძულება - 46; უგულებელყოფა - 2. საქართველოს მასშტაბით, ინციდენტის ტიპით, ,,კონფლიქტი ოჯახური/ძალადობა“, სსიპ ,,112“ –ში დაფიქსირდა 9616 შეტყობინება.

[11] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #01/34991; 31.05.2017

[12] პროექტი დააფინანსა გაეროს მოსახლეობის ფონდმა.

[13] აღსანიშნავია, რომ განხორციელებული აქტივობები, მათ შორის ტრენინგები და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, ძირითადად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან იყო ინიცირებული.



მიღებული პასუხებიდან ნათლად ჩანს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას არ აქვს სავალდებულო ხასიათი და მათი ჩატარება ძირითადად დამოკიდებულია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსსა და ცალკეული მუნიციპალიტეტის კეთილ ნებაზე. განხორციელებული აქტივობები, ძირითადად ფრაგმენტულია და არ არის სისტემური ხასიათის. მიღებულ პასუხებში ნათლად ჩანს, რომ თვითმმართველი ორგანოები არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობების შესახებ.[14]

მისასალმებელია, რომ რიგ მუნიციპალიტეტებს აქვთ პროგრამები, რომლებიც მიმართულია ძალდობის მსხვერპლ ქალთა დახმარებისა და გაძლიერებისაკენ, თუმცა, თვითმმართველ ერთეულთა უმეტესობაში კვლავ პრობლემას წარმოადგენს სამოქმედო გეგმის შესრულების მნიშვნელობის გააზრება, და გეგმით განსაზღვრული საქმიანობებისთვის საბიუჯეტო რესურსების გამოყოფა.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ, პოზიტიურ მიღწევად უნდა ჩაითვალოს გენდერის მრჩევლების დანიშვნა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე, მეორე მხრივ, კვლავ ბუნდოვანია/შეზღუდულია მათი ვალდებულებები და უფლებამოსილებები. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, ერთიანი მიდგომის არარსებობის გამო, რთულია

[14]ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო, წერილის #79; 04/07/2017

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ეფექტიანი თანამშრომლობა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით:

> *„[რეგიონებში] პირველად ვისაც მიმართავენ, ესაა სოფლის რწმუნებულები. არავის არ უსწავლებია ამ ხალხისთვის როგორ დაეხმაროს მსხვერპლებს. ჩვენ ხშირად ვეპატიჟებით ტრენინგებზე და საინფორმაციო შეხვედრებზე, თუმცა ამ ადამიანებს არანაირი მგრძნობელობა და ინტერესი არა აქვთ“.*

სამოქმედო გეგმის პირველი მიმართულება აგრეთვე ითვალისწინებდა ქალთა მიმართ ძალადობისა (მათ შორის – ადრეული ქორწინების საკითხების) და ოჯახში ძალადობის საკითხების პროფესიული განვითარების პროგრამებში ინტეგრირებასა და დანერგვას (საქმიანობა 1.1.3). ამ თვალსაზრისით, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ გეგმით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა საქართველოს იუტიციის სასწავლო ცენტრმა[15], საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ[16], საქართველოს მთავარმა პროკურატურამ[17]და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ[18]; ხოლო იუსტიციის უმაღლესი სკოლისა[19] და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს[20] მიერ პროგრამა შემუშავების პროცესშია. რაც შეეხება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების ინტეგრირებასთან დაკავშირებით, სასწავლო პროგრამებში, არ მოგვეწოდა.

---

[15] საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის წერილი - #14/533; 28.07.2017. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მომზადდა 3-საათიანი მოდული, რომელიც მოიცავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა ბაზისურ საკითხს. სასწავლო ცენტრის საქმიანობის სპეციფიკის თანახმად, პროფესიული განვითარების პროგრამებში მოდულის ინტეგრირება და დანერგვა დამოკიდებულია დამკვეთი ორგანიზაციის მოთხოვნაზე.

[16]საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი #MIA 51701706044; 17.07.201. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხების პროფესიული განვითარების პროგრამებში ინტეგრირებისა და დანერგვის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია მუდმივად ახორციელებს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საგნის სწავლებას საბაზისო კურსზე. 2014 წლიდან ასევე დაინერგა სამაგისტრო პროგრამა. 2015 წლიდან შსს აკადემიაში შემუშავდა და დაინერგა „გენდერული თანასწორობის კურსი„, რომელიც ინტეგრირებულია საბაზისო სწავლების კურსის კურიკულუმში და აღნიშნული საკითხისადმი აკადემიის მსმენელთა მგრძნობელობის ზრდას ემსახურება.

[17]საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილი #13/36624; 05.06.2017. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის საკითხები ინტეგრირდა ოჯახში ძალადობის თემაზე მომზადებულ სპეციალიზებულ სასწავლო კურსებსა და სტაჟიორთა მოსამზადებელ პროგრამებში. შემუშავდა დამატებითი კომპლექსური სასწავლო მასალა ქალთა უფლებების დაცვისა და მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის თემაზე. სასწავლო პროგრამები მოიცავს როგორც საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობას, ასევე ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს და ძალადობის მსხვერპლ ქალებთან, ბავშვებთან და მოწმეებთან კომუნიკაციის ტექნიკებს.

[18] სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს წერილი #MOC 91700446860; 13.06.2017. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს შეიქმნა სასწავლო პროგრამა „მოწყვლად ჯგუფებთან მოპყრობის თავისებურებები“, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია გენდერული თანასწორობის საკითხებზე. 2016 წელს სარეაბილიტაციო პროგრამების ფარგლებში ჩართული იყო 79 პირობითი მსჯავრდებული კაცი. პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ამჟამად პროგრამაში ჩართულია 47 მსჯავრდებული კაცი. პროგრამაში, „ძალადობის რაობა და ძალადობისგან დაცვის საკანონმდებლო მექნაიზმები“, ჩართულია 8 პირი, მათ შორის, 7 კაცი და 1 ქალი.

[19] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის წერილი - #02/1517; 01.06.2017. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ხორციელდება პროექტი „მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით“. 2016 წელს ამ თემაზე ჩატარდა 2 ტრენინგი და გადამზადდა 20 მოსამართლე (7 კაცი და 13 ქალი) და 14 თანაშემწე (3 კაცი და 11 ქალი).

[20]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი - MES 61700554753; 25.05.2017

ინსტიტუციური მექანიზმების სრულყოფა

სამთავრობო უწყებების მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით განხორციელებული საქმიანობისა და მიწოდებული მომსახურების სისტემურობისა და თანმიმდევრული ხასიათის უზრუნველსაყოფად, სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ უწყებებში ყოველწლიური შიდა სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება, ან უკვე არსებულ შიდა ინსტიტუციურ სამოქმედო გეგმაში ინტეგრირება (1.1.4). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თითოეული უწყების მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის ან ერთეულის გამოყოფა/დამტკიცება.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[21], საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა და ფუნქციონირებს „ოჯახში ძალადობის პრევენციის და მასზე ეფექტიანი რეაგირების კომისია“, რომელიც შეისწავლის ოჯახში ძალადობის ფაქტებზე პოლიციის რეაგირების ადეკვატურობას და გამოიკვლევს ოჯახის წევრთა მიერ ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევებს. უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის ფუნქციები ბუნდოვანია, ასევე, გაურკვეველია ანგარიშვალდებულების ნაწილი და მიღებული შედეგების პრაქტიკული განხორციელების ვალდებულება. შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროში კვლავ პრობლემურია სრულყოფილი სტატისტიკის წარმოება, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, რისკის შეფასების, პრევენციისა და მონიტორინგის განხორციელება, მსხვერპლთა და დაზარალებულთა მიმართ გენდერული მგრძნობელობის გამოვლენა, გენდერული ძალადობის აღკვეთის კუთხით ერთიანი სამოქმედო სტრატეგიის არარსებობა და სხვ.

ეროვნული სამოქმედო გეგმით გაწერილი საქმიანობა სრულად შეასრულა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, კერძოდ, გამოყოფილია პირი, რომელიც მუშაობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე.

რაც შეეხება დანარჩენ უწყებებს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საქმიანობა შეთავსებული აქვთ სხვადასხვა დეპარტამენტსა თუ პირს, რაც გულისხმობს, რომ სტრუქტურული ერთეული, რომელიც მხოლოდ გენდერული თანასწორობის საკითხებზე იმუშავებდა - არ არსებობს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ზემოხსენებულმა უწყებებმა, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობა (1.1.5) მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულეს.

[21] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი #MIA 51701706044; 17.07.2017.

მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებელი უწყებების უმეტესობამ, ოჯახში ძალადობის პრევენციის, აღკვეთისა და დაცვის მიზნით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი ან ერთეული გამოყო, პრევენციისაკენ მიმართული ღონისძიებები, მთლიანობაში სუსტია და პოლიტიკა, ძირითადად, შედეგის აღმოფხვრაზეა ორიენტირებული. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, უწყებებმა გამოყონ სტრუქტურული ერთეული ან პირი, რომელიც სპეციფიკურად იმუშავებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რაც აამაღლებს კონკრეტული უწყების მიერ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე განხორციელებული საქმიანობების ეფექტიანობას.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა და მისი ცნობიერების ამაღლება. სიღრმისეულ და კომპლექსურ მუშაობას საჭიროებს დამკვიდრებული სტერეოტიპული წარმოდგენების შეცვლა, რაც, ხშირ შემთხვევაში, ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ინდიფერენტულ ქცევაში ვლინდება. სწორედ ამიტომ, სამოქმედო გეგმის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში, გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად, ტრენინგების ჩატარება მნიშვნელოვანია.

ამ ამოცანის შემსრულებელ უწყებად გამოიყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სასწავლო ცენტრის დახმარებით. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად [22], ტრენინგ მოდულებით სწავლება რამდენიმე ათეულმა მასწავლებელმა გაიარა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, 3 შეხვედრა ასევე გაიმართა საზოგადოებრივ/პროფესიულ კოლეჯებში. ამ შეხვედრების მიზანი იყო საკანონმდებლო ცვლილებების გაცნობა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებებზე მსჯელობა. რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრს, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[23] უწყებას აღნიშნული საქმიანობა არ შეუსრულებია.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში ჩატარებული შეხვედრები, საგანმანათლებლო სისტემაში გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვისა და ძალადობრივი ქცევის აღმოფხვრის კუთხით დღეს არსებულ საჭიროებებს, ვერ ფარავს. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის ბრძანებით, დამტკიცებულია 2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა

[22] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი - MES 61700554753; 25.05.2017
[23] საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის წერილი - #14/533; 28.07.2017

დაწყებითი საფეხურისთვის და მასში შედის საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნები „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“, კვლავ პრობლემად რჩება სასწავლო პროგრამებში გენდერული თანასწორობის ასპექტების სიღრმისეული ასახვა და მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება, თანასწორობის პრინციპების შესაბამისად. გენდერული ძალადობის პრევენციისა და სასწავლო პროცესებში თანასწორი, დისკრიმინაციისა და სიძულვილისგან დაცლილი ღირებულებების დამკვიდრება, მეტ მუშაობას მოითხოვს.

სამოქმედო გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას თბილისსა და რეგიონებში, განსაკუთრებით, მოწყვლად ჯგუფებთან, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობებთან, იძულებით გადაადგილებულ პირებთან, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან და მიგრანტთა დროებით განთავსების ცენტრის თანამშრომლებთან (1.2.2).

აღნიშნული საქმიანობის შესასრულებლად სამოქმედო გეგმაში წამყვან უწყებად გამოყოფილია მუნიციპალიტეტის ორგანოები, იუსტიციის სასწავლო ცენტრი, მთავარი პროკურატურა და დევნილთა სამინისტრო, რომელთაც მიზნობრივ ჯგუფებთან წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრის ჩატარება დაევალათ. საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი N3: ქალთა მიმართ ძალადობის (მათ შორის, ადრეული ქორწინების საკითხების) და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ორგანიზებული საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრები 2016-17 წლებში[24]:

უწყება	შეხვედრების რაოდენობა	მიზნობრივი ჯგუფი
იუსტიციის სასწავლო ცენტრი	2	იუსტიციის სასწალო ცენტრის კლინიკის 22 ტრენერი, რელიგიური/ეთნიკური უმცირესობა
მთავარი პროკურატურა	38	სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, ადგილობრივი მოსახლეობა, ეთნიკური უმცირესობები
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	6	დევნილი მოსახლეობა, მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი პირები
იურიდიული დახმარების სამსახური	52	დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობა

[24] ცხრილში ასახულია ინფორმაცია 2017 წლის ივნისის მდგომარეობით უწყებების მიერ შესრულებული საქმიანობის შესახებ.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	8	ახალგაზრდები, რელიგიური/ეთნიკური უმცირესობა,
შინაგან საქმეთა სამინისტრო	1	რელიგიური/ეთნიკური უმცირესობა
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	12	სასჯელაღსრულების N2,5,17,5,8,14 დაწესებულებები

ზემოთ აღნიშნული უწყებების გარდა, სამოქმედო გეგმის მიხედვით, ადგილობრივ მოსახლეობასთან, ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაზე პასუხისმგებლობა ადგილობრივ თვითმმართველობებზეც ვრცელდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ პასუხისმგებელმა უწყებებმა გეგმით დაკისრებული ვალდებულებები შეასრულეს. რაც შეეხება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ინდიკატორის შესრულებას, რომელიც კანონმდებლობისა და არსებული მომსახურების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის 20%-იან ზრდას ითვალისწინებდა, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზება გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, არსებითად არ გაუმჯობესებულა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ძალადობის მსხვერპლ და დაზარალებულ ქალებთან გამართულ ფოკუს-ჯგუფის შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციის ანალიზი გვიდასტურებს, რომ მსხვერპლთა უმრავლესობას დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაცია ნაკლებად ჰქონდათ, მათ შორის, იმ მსხვერპლებს/დაზარალებულებს, რომლებმაც ძალადობასთან დაკავშირებით საქმეში ჩართეს სოციალური მომსახურების სააგენტო ან/და სამართალდამცავი ორგანოები. ზოგიერთ შემთხვევაში, სამართალდამცავი უწყების რამოდენიმე ვიზიტის შემდეგაც კი, მსხვერპლს არ ჰქონია ინფორმაცია ისეთ მექანიზმთან დაკავშირებით, როგორიც არის კრიზისული თავშესაფრის არსებობა.

ეროვნული სამოქმედო გეგმა დიდ ყურადღებას უთმობს საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე (1.3), საინფორმაციო პლატფორმების მაქსიმალური გამოყენებით. აღნიშნულზე პასუხისმგებელი უწყებაა როგორც საზოგადოებრივი მაუწყებელი, ისე სახელმწიფო ფონდი და შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად[25], საანგარიშო პერიოდში მომზადდა სხვადასხვა გადაცემები, რომელიც მიეძღვნა ქალთა უფლებებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებს, მათ შორის: ოჯახში ძალადობას, ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას, ქალთა შრომით უფლებებს, ადრეულ ასაკში ქორწინებას და გენდერის ნიშნით სქესის სელექციის საკითხებს და სხვ[26].

ამ საქმიანობის ფარგლებში, საინფორმაციო კამპანიები და შეხვედრები დამხმარე უწყებებმაც ჩაატარეს. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, სახელმწიფო ფონდმა 2016-2017 წლებში, 887 პირის მონაწილეობით, 37 შეხვედრა გამართა[27]. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით[28], 2017 წლის მარტში მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის მისაღებში, ოჯახში ძალადობის საკითხებზე სხვადასხვაენოვანი ბროშურები გავრცელდა. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მომზადდა საინფორმაციო ბროშურები თემაზე: „ოჯახში ძალადობა, მსხვერპლი და მოძალადე – ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები“. ბროშურები ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ისე ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

---

[25] საზოგადოებრივი მაუწყებლის წერილი #2436/01; 14.06.2017;

[26] გადაცემა **„კომუნიკატორი“**: „ქალები ღვინის ბიზნესში“; „გენდერული თანასწორობა - მორაგბეები ჯანსაღი ღირებულებებისთვის“; „სქესობრივი აღზრდის მნიშვნელობა - მომხრეები და მოწინააღმდეგეები“; გადაცემა **„რეალური სივრცე“:** „ქალთა კოოპერატივები სოფლებში“; „ლგბტი პირთა სამართლებრივი და სოციალური მდგომარეობა საქართველოში“; „კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ ცვლილებები შედის“; „ქალთა დღე და ქალის როლი“; „რას ითხოვენ თსუ-ის სტუდენტები აკადემიური საბჭოსგან“; „მთელი ქონება ვაჟს!" - ქვეყნის მენტალური თუ საკანონმდებლო პრობლემა“; **გადაცემა - „ეკონომეტრი“: „**ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალთა რაოდენობის მაჩვენებელი საქართველოში 29%-მდე შემცირდა“; პროექტის, „ტელებლოგი“, მიერ მომზადდა სატელევიზიო ფილმი „სიკვდილის ანგელოზები“. **საზოგადოებრივი რადიო -** გადაცემა **„ღია სტუდია“: „**ძალადობა ქალებზე“; „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2030 წლების ეროვნული სტრატეგია“; „მშობიარე დედების და ახალშობილების გარდაცვალების შემთხვევები საქართველოში“; „ქორწინება“; „ქალები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში“; გადაცემა **„თქვენი უფლებები“: „**პატიმარ ქალთა უფლებები საქართველოში“, „ოჯახური ძალადობა“, „ქალთა თავშესაფრები საქართველოში“; გადაცემა „**მიგრაციის მარშრუტები“: „**ქალი ემიგრაციაში“, „ქართველი ემიგრანტი ქალები იტალიაში“, „ქართველი ქალი საბერძნეთში“, „წარმატებული ქალის არჩევანი“, „დედის დღე ემიგრაციაში“. **გადაცემა „რა სურთ ქალებს“: „**შეიძლება თუ არა კაცი იყოს ფემინისტი და რით განისაზღვრება გენდერული როლების განაწილება საზოგადოებაში“, „ქართველი ფემინისტი ქალების ისტორია“, „რას ნიშნავს გენდერული სამართლიანობა?“, ფესტივალი „გენდერი იწყება ჩემგან“**; გადაცემა „უფლება და თავისუფლება“ : „**ქალთა მიმართ ძალადობა და ძალადობა ოჯახში“, „ქალთა შრომითი უფლებები“, „გენდერული თანასწორობის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულება“, „გენდერული სტერეოტიპები“, „კამპანია „კაცები ზრუნავენ“ გენდერული თანასწორობისთვის“.

[27] 2016 წელს გამართა 31 შეხვედრა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომელსაც ესწრებოდა 887 მსმენელი. 2017 წელს მსგავსი 6 შეხვედრა გაიმართა. პროექტის, „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ (დაფინანსებული USAID-ის მიერ), ფარგლებში, 2016 წელს მომზადდა 500 ოთხენოვანი (ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული) ბროშურა, დაიბეჭდა 300 კალენდარი, ძალადობის საწინააღმდეგო გზავნილითა და ახალი ცხელი ხაზის (116 006) ნომრით, რომელსაც ფონდი საინფორმაციო შეხვედრების დროს ავრცელებდა. 2017 წელს, იმავე პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა 50.000 ცალი ოთხენოვანი ბროშურა და 300 კალენდარი, ასევე 300 სტიკერი ცხელი ხაზის ნომრით. თბილისის მუნიციპალურ ტრანსპორტებზე განთავსდა ცხელი ხაზის სარეკლამო სტიკერები.

[28] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წერილი #04/07/13892; 31.05.2017.

ასევე, 2017 წლიდან იუსტიციის სამინისტრომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ დაიწყო სოციალური კამპანია „#იმოქმედე“. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ფონდმა, მედიაკამპანიის ფარგლებში, ასევე არაერთი ღონისძიება განახორციელა (2016 წლის მაისი-ივლისში დამზადდა ძალადობის წინააღმდეგ საკონსულტაციო ცხელი ხაზის აუდიო და ვიდეორგოლი (გრაფიკული); ოჯახში ძალადობის საკონსულტაციო ცხელი ხაზის გრაფიკული და აუდიოკლიპები განთავსდა საეთერო ბადეში სოციალური რეკლამის სახით.

სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციიდან ჩანს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობისთვის ძალადობის წინააღმდეგ ცხელი ხაზის ნომერი (116 006) ცნობილია, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა და ნიშნავს, რომ ფონდის მიერ ჩატარებულ მედიაკამპანიებს უშედეგოდ არ ჩაუვლია. თუმცა მსხვერპლებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია ცხელი ხაზის გარდა სხვა სერვისების შესახებ, რომელსაც სახელმწიფო ფონდი გასცემს (იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური სერვისები, თავშესაფარი).

გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, ძალადობის მსხვერპლთა ფოკუს-ჯგუფების შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, საზოგადოების დამოკიდებულება, ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და მათი მხარდაჭერის კუთხით, კვლავ ინდიფერენტული ან მკვეთრად ნეგატიურია, რის შედეგადაც სათანადო მხარდაჭერისა და გაძლიერების მექანიზმების არარსებობის გამო, ხშირად მეორადი ვიქტიმიზაციის მსხვერპლნი ხდებიან:

> *“[მეზობლებმა] იცოდნენ, ყველა კარგად ხედავდა, მაგრამ არ ერეოდა ოჯახის საქმეში, მე ვჩუმდებოდი რომ ჩემი ხმა არ გასულიყო ოჯახიდან, მაინც ქალი ვიყავი, დედა ვიყავი და კიდევ ხალხს ის არ ეთქვა, ახალგაზრდა გოგოა, რას კივის, რას წივის, მერე იმასაც იტყოდნენ, ფსიქიკურად ვერ არისო და ამ ყველაფერს ვითმენდი”;*
>
> *“მეზობლები არ მელაპარაკებოდნენ იმის გამო, რომ როგორ გავბედე და პოლიციაში როგორ ვიჩივლე. სტუმრადაც კი ვერ მივდიოდი ვერავისთან, იმიტომ რომ ყველას ეშინოდა ჩემი მოძალადე ქმრის. დამცავი ორდერი 2-ჯერ დაარღვია და არანაირი რეაგირება არ მოყოლია ამას, შესაბამისად, რანაირად ვიგრძნო თავი დაცულად?”*

ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის დამატებითი დაბრკოლებაა თავად ოჯახის წევრთა დამოკიდებულება, რამდენიმე მათგანს ოჯახის წევრი მოუწოდებდა პოლიციის ჩაურევლად მოეგვარებინა ურთიერთობა, რადგან ძალადობის შესახებ გაცხადება სირცხვილად მიიჩნევა. ზოგიერთი მსხვერპლისთვის პოლიციაში მიმართვა იყო ბარიერი, რადგან ასეთ შემთხვევაში დამატებით დამცირების ატანა მოუწევდათ:

> *„ქალი როცა გადადგამს ამ ნაბიჯს და გადალახავს ყველა დაბრკოლებას, სერვისები და საზოგადოების დამოკიდებულება იმდენად არაადეკვატურია,*

რომ შემდეგ ყველაფერზე ხელს იქნევს ხოლმე და ისევ ურჩევნია ის „მიჩვეული ჭირი“;

„იმ გარემოში გავიზარდე, სადაც მიაჩნიათ, რომ ქალი თუ ქმარს გაშორდება, სახელი გაუტყდება. დედაჩემი ყოველთვის იმას მეუბნებოდა, ყველაფერი უნდა აიტანო და ოჯახი შეინარჩუნოო. თავის მხრივ, ჩემი მეუღლე როცა ხედავდა, რომ არსაიდან არ მქონდა მხარდაჭერა, უფრო თავდაჯერებული ხდებოდა და მეტად ძალადობდა ჩემზე“;

„არაერთი სასამართლო ჩატარდა ჩემს საქმეზე და ჩემი ოჯახის არცერთი წევრი არ მოსულა ჩვენების მისაცემად. ჩემს დასაც ჰყავდა ოჯახი და მისი ქმარი თავის მხრივ ეუბნებოდა, სასამართლოში თუ წახვალ და ჩვენებას მისცემ, სახლში ვეღარ შემოხვალო“.

განსაკუთრებით დაბალია ცნობიერება ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში, რადგან ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები (საინფორმაციო კამპანიები, საგანმანათლებლო შეხვედრები) ძირითადად ქართულ ენაზე ტარდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ძალადობის მსხვერპლთათვის გადასაცემი ინფორმაციის სტანდარტული შაბლონი, რომელშიც, მათთვის გასაგებ ენებზე, მარტივად იქნება აღწერილი ყველა იმ დაცვისა და დახმარების მექანიზმის გამოყენების შესახებ, რომელსაც ძალადობის მსხვერპლებს სახელმწიფო სთავაზობს.

სამოქმედო გეგმის მიხედვით, იმ გეოგრაფიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც განსაკუთრებით ხშირია ადრეული ქორწინების პრაქტიკა, განსაზღვრული იყო მობილიზება ადრეული ქორწინების პრევენციისათვის, მათ შორის თემისა და რელიგიური ლიდერების ჩართვა (1.3.2.). აღნიშნული მიმართულებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, [29] „მშობელთა განათლებისა და ჩართულობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სისტემატურად ტარდება გასვლითი ღონისძიებები საქართველოს რეგიონებში, სადაც შედარებით ხშირია ადრეული ქორწინების ფაქტები. საჯარო სკოლებში მშობლებისთვის ჩატარდა საჯარო შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც განიხილებოდა ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებული რისკები. 2016 წლის მდგომარეობით, 6 მუნიციპალიტეტის 20 სოფელში 30 საჯარო შეხვედრა გაიმართა.[30]

პრობლემის მასშტაბიდან გამომდინარე, ადრეულ ასაკში ფაქტობრივი ქორწინება და ნიშნობის პრაქტიკა კვლავ რჩება საქართველოში გენდერული თანასწორობისათვის ერთ-ერთ

[29]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი - MES 61700554753; 25.05.2017

[30] კაბალი, ყარაჯალა, უზუნთალა, განჯალა, ნახიდური, ქვემო ბოლნისი, თაქალო, მუღანლო, ქეშალო, იორმუღანლო, ლამბალო, დუზაგრამა, კალინინო, ქესალო, ამამლო, კარაბულახი, ტალავერი, ბაზაქლო, პანტიანი, გარდაბანი.

მთავარ გამოწვევად და საჭიროებს კომპლექსურ და სიღრმისეულ მიდგომას[31]. შესაბამისად, მხოლოდ საინფორმაციო შეხვედრები, ამ მიმართულებით არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, არასაკმარისია. მნიშვნელოვანია გაიწეროს ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც სოციალურ სააგენტოს, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამართალდამცავ უწყებას, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევაში, არასრულწლოვნის უფლებადარღვევისა და მასზე ძალადობის რისკის შეფასებაში დაეხმარება, და მოხდეს პრევენციული ჩარევა ამგვარის თავიდან ასაცილებლად.

ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხის პრობლემის მასშტაბიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობები გულისხმობს საბაზისო კვლევას ადრეული ქორწინების მიზეზების, პრაქტიკის, შედეგებისა და გავრცელების შესახებ, პრევენციის ხელშემწყობი რეკომენდაციების შემუშავებასა და გავრცელებას და მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლებას ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიღებული ინფორმაციით, [32] კვლევა „ადრეული ქორწინება საქართველოში“ დაიწყო 2016 წლის 24 ოქტომბერს და წლის ბოლომდე დასრულდება. რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მოწოდებული ინფორმაციით[33], განათლების სამინისტროს მართვის საინფორმაციო სისტემა პერიოდულად ამუშავებს და აანალიზებს სკოლის ადრეულ ასაკში მიტოვების ფაქტებს. რაც შეეხება ცნობიერების ამაღლებას, ამ მიზნის მისაღწევად, სამინისტრო სხვადასხვა არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ახორციელებს აქტივობებს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში[34].

განათლების სამინისტრომ, აუცილებელია, აწარმოოს სკოლის მიტოვების მიზეზების აღრიცხვის მონიტორინგი, რათა სახელმწიფომ, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას მეტი ყურადღება მიაქციოს აღრიცხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ კუთხით მონიტორინგის განხორციელება იმ რეგიონებში, სადაც, ადრეულ ასაკში ქორწინების რიცხვი სტატისტიკურად მაღალია.

მიმართულება II: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთა

საკანონმდებლო ჩარჩოს მოწესრიგება

ეროვნული სამოქმედო გეგმის მე-2 მიმართულება ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და

[31] სპეციალური ანგარიში, „ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები“, ხელისაწვდომია მისამართზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3486.pdf

[32] დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წერილი #06/2228; 30.05.2017

[33]საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 61700554753; 25.05.2017

[34] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი - MES 61700554753; 25.05.2017

აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციასთან (შემდგომში სტამბოლის კონვენციის) ჰარმონიზაციას და ეროვნული კანონმდებლობის და პოლიტიკის დოკუმენტების მისადაგებას საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე მის ეფექტიან განხორციელებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სამოქმედო გეგმით გაიწერა ამოცანები, რომელიც ეხებოდა სტამბოლის კონვენციიდან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავებას, რეფერალური მექანიზმის შემუშავებას, სტანდარტული ოპერატიული პროცედურების დანერგვასა და პილოტირებას პირველადი ჯანდაცვის რგოლში, და პასუხისმგებელი უწყებების მიერ ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკის ერთიანი სტანდარტის შემუშავებას.

2017 წელს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის და გენდერული თანასწორობის მიმართულებით სახელმწიფომ მნიშვნელობანი ნაბიჯი გადადგა „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირებით, რომლის მეშვეობითაც გაფართოვდა ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები. ცვლილებების შესაბამისად, გაფართოვდა ძალადობის მსხვერპლთა წრე, განხორციელდა იძულებითი სტერილიზაციისა და ქალთა გენიტალიების დასახიჩრების კრიმინალიზაცია, დაიხვეწა სექსუალური ძალადობის დეფინიცია და სხვ.

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-40 მუხლი ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, დაარეგულირონ გენდერული ძალადობის და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ეს სპეციფიკური ფორმა, განხორციელებული ცვლილებების ფარგლებში არ მოხდა სექსუალური შევიწროების რეგულაცია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული კანონმდებლობა სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებთან სრულად მისადაგებული არ არის.

სამოქმედო გეგმით გაწერილი შემდეგი ამოცანა, 2017 წლის ბოლომდე ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას გულისხმობდა (2.3), რაშიც, გეგმის მიხედვით, მოიაზრება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შეფასება (2.3.1), და ამის საფუძველზე, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება (2.3.2). საუწყებათაშორისო საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული არცერთი ზემოთ აღნიშნული საქმიანობა ამ დრომდე არ შეუსრულებია.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების მონიტორინგის სისტემის დანერგვასა და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასაც (2.2.3). აღნიშნული საქმიანობის განხორციელება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა, თუმცა მათ ამ კუთხით საქმიანობა არ წამოუწყიათ.

ამავე მიზნის მისაღწევად, სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა მოეხდინა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების სათანადო კვალიფიკაცია, ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების უზრუნველყოფისთვის სისხლის სამართლის საქმეების მუდმივი მონიტორინგი, უნდა გამოევლინა ხარვეზები და დაეგეგმა სათანადო ღონისძიებები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, პროკურორებისათვის შეემუშავებინა რეკომენდაციები (2.3.4).

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საანგარიშო პერიოდში გააანალიზა ქალთა მიმართ ჩადენილი მკვლელობების სისხლისსამართლებრივი ასპექტები, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების შედეგად, გაზრდილია ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოძიებისა და დევნის დაწყების რიცხვი. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ოჯახში ძალადობის საქმეებზე, ეფექტიანი რეაგირება და გამოძიების დროულად დაწყება. ამასთან, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ოჯახში ძალადობის საქმეთა სისტემატიზაცია და ძალადობის ისტორიის გათვალისწინება.

რაც შეეხება მოძალადეებისათვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის შემუშავებასა და შემდგომში მის განხორციელებას (2.6), ამ ეტაპზე საქართველოს მთავრობას ეს საქმიანობა არ შეუსრულებია. ხოლო ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამების კუთხით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში[35] 2016 წელს დაინერგა გარკვეული პროგრამები, რომელშიც 38-მა ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის მიმართულებით, ასევე გაიწერა სასამართლოების ვალდებულება, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული საუკეთესო საერთაშორისო (სასამართლო) პრაქტიკის განზოგადებისა და დანერგვის მიზნით (2.7.).

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საერთო სასამართლოებმა, საანგარიშო პერიოდში, თარგმნეს, მოამზადეს და გამოსცეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე[36]. ამჟამად მიმდინარეობს მეორე კრებულზე მუშაობა. ამასთან, რაიონული სასამართლოებიდან, მათი შემდგომი დამუშავება/ანალიზის მიზნით, გამოითხოვეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლითა და 11[1] მუხლზე მითითებით განხილული საქმეები.

[35] სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს წერილი #MOC 91700446860; 13.06.2017
[36] უზენაესი სასამართლოს წერილი #3-117-17; 29.05.2017

რეფერირების მექანიზმი

ეროვნული რეფერალური მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობას, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უნდა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა (2.2), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერალური პროცედურები. დოკუმენტის პროექტის შემუშავების მიუხედავად, რეფერალური მექანიზმი ამ დრომდე არ დამტკიცებულა.[37] [38]

ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გაძლიერება, საანგარიშო პერიოდში, გულისხმობდა ეროვნული რეფერალური მექანიზმის გაძლიერებას, მასში ჯანდაცვის სისტემის ჩართვით. (2.3.3). სამინისტროს ინფორმაციით [39] , მომზადდა სოციალური მუშაკის როლის განმსაზღვრელი დოკუმენტის სამუშაო ვერსია და ტრენინგის კურიკულუმი, თუმცა დოკუმენტი ამ დრომდე არ დაუმტკიცებიათ და არც რეფერალურ მექანიზმში დაუნერგავთ.

სახალხო დამცველის პრაქტიკა აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობის საქმეთა შესწავლისას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სოციალური სამსახური კოორდინირებულად არ მუშაობენ და ძალადობის სავარაუდო ფაქტის შესახებ სამართალდამცავი უწყება სოციალურ სამსახურს, ხშირ შემთხვევაში, არ ატყობინებს. მხოლოდ მაშინ მიმართავენ, თუ საქმეში არასრულწლოვან ან ხანდაზმულ პირზე პირდაპირი ძალადობა იკვეთება. ოჯახში ძალადობის საქმეებზე რეფერირების პროცედურის არარსებობა, ხელს უშლის ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის დროული და სრულყოფილი დახმარების გაწევას.

სტატისტიკა

გენდერული თანასწორობის კუთხით საქართველოს წინაშე არსებულ პრობლემათაგან, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ერთიანი სტატისტიკის წარმოება და ანალიზი, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს მონაცემები, სახელმწიფოს, საჭიროებებსა და გამოწვევებზე დაფუძნებული რეაგირების შესაძლებლობას მისცემდა. ამასთან, აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე და სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს, მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ღონისძიებების გატარებაში.

---

[37] ფონდი ეროვნული რეფერალური პროცედურების პროექტის აღნიშნულ ცვლილებათა პაკეტთან მისადაგებას 2017 წლის ბოლომდე გეგმავს

[38] სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი #04/37028; 08.06.2017

[39] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #01/34991; 31.05.2017

ეროვნული სამოქმედო გეგმით გაწერილია ამოცანა (2.5), რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტის შემუშავებასა და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას გულისხმობს. ამ მიზნის შესასრულებლად, რიგ უწყებებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიური სტანდარტის შექმნა (2.5.1) და აგრეგირებული მონაცემთა ბაზის შექმნა და განახლება (2.5.2) დაევალათ.

საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად [40] , საბჭოს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების კუთხით, მუშაობა არ გაუწევია.

რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად [41] , სამინისტრო ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვას ახალი პროგრამით, დეტალური პარამეტრების მიხედვით აწარმოებს, კერძოდ: ძალადობის სახეობები, გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების ტერიტორიული მაჩვენებლები (მუნიციპალური ჩაშლა), მოძალადეთა და მსხვერპლთა რაოდენობა სქესის და კონკრეტული ასაკის მიხედვით, შევსებული კონფლიქტის აღრიცხვის ბარათები და კონფლიქტში მონაწილე სუბიექტები ტერიტორიული მაჩვენებლების მიხედვით, სსკ—ის 126 [1] მუხლით და 11[1] მუხლზე მითითებით დაწყებული გამოძიებები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175[1] მუხლების რაოდენობრივი და გეოგრაფიული მაჩვენებლები. რაც შეეხება საქართველოს მთავარ პროკურატურას, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო და ანალიტიკური სამმართველო, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების ერთიან სტატისტიკურ მონაცემებს ამუშავებს.

რაც შეეხება სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს [42], გვეცნობა, რომ ისინი სრულად არიან დამოკიდებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებულ ადმინისტრაციულ მონაცემებზე. შესაბამისად, დამოუკიდებლად ვერ განახორციელებენ აღნიშულ საქმიანობას. თუმცა, ოჯახში ძალადობის გარკვეული მონაცემები განთავსებულია „საქსტატის“ მონაცემთა ბაზაში.

საქართველოს საერთო სასამართლოებისგან მოწოდებული ინფორმაციით [43] , უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური დეპარტამენტი შემაკავებელ და დამცავ ორდერებს აღრიცხავს როგორც საქალაქო და რაიონული სასამართლოების, ასევე სააპელაციო სასამართლოების მიხედვით, ამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლითა და 11[1] მუხლზე მითითებით განაჩენის გამოტანით განხილული

[40] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი #17842; 08/06/2017
[41] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი #MIA 51701706044; 17.07.2017
[42] სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წერილი #8-1455; 25.05.2017
[43] უზენაესი სასამართლოს წერილი #პ-117-17; 29.05.2017

საქმეებისა და მსჯავრდებული პირების რაოდენობის შესახებ. თუმცა, უზენაესი სასამართლო გენდერულად კვლავ არ აანალიზებს სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, მათ შორის, არც საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილს. ამასთან, პრობლემად რჩება უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ დამცავი ორდერების კლასიფიკაცია ძალადობის ფორმების მიხედვით[44].

სსიპ „112“-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში ოჯახში ძალადობის/კონფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინებები აღირიცხება, თუმცა აღნიშნული მონაცემები დეტალურად არ ანალიზდება.

სხვადასხვა ფორმის ძალადობის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად, შესაბამისი ღონისძიებების დასაგეგმად, აუცილებელია, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დეტალური გაანალიზება. ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა უწყების მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც უწყებებს შორის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთვევების შესახებ სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგიის შექმნის საჭიროებაზე მიუთითებს.

მიმართულება III: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვა და დახმარება

სამოქმედო გეგმის მესამე მიმართულების მიზანია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლების დახმარებისა და რეაბილიტაციის შესაბამისი მომსახურებებით უზრუნველყოფა. ამის მისაღწევად გეგმით გაიწერა ის საქმიანობები, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს არსებული მომსახურებების გაუმჯობესებასა და ხელმისაწვდომობის გაზრდას. ამ ამოცანების შესრულება, სამოქმედო გეგმის მიხედვით, უპირატესად, სახელმწიფო ფონდსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ევალება.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები

სამოქმედო გეგმის მე-3 მიმართულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძალადობის მსხვერპლთათვის (დაზარალებულთათვის) მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას (3.2), კერძოდ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ახალი თავშესაფრის გახსნის გზით, თავშესაფრების ქსელის გაფართოებას და ცხელი ხაზის მომსახურების თემატურ გაფართოებას.

[44] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 8 თებერვლის წერილი N პ-46-17;

სახელმწიფო ფონდის ფარგლებში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის 5 თავშესაფარი მოქმედებს[45] . მათი მდგრადობა და შეუფერხებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფილია ფონდისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებით.

მისასალმებელია, რომ 2016 წლის 5 აპრილს კახეთის რეგიონშიც გაიხსნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი), რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს.[46] გარდა სახელმწიფო თავშესაფრებისა, მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრის არსებობა, სადაც განათავსებენ და მოემსახურებიან ძალადობის სავარაუდო მსხვერპლებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კრიზისული ცენტრი თბილისში 2016 წელს, ხოლო ქუთაისში 2017 წელს გაიხსნა. ამასთან, კრიზისული ცენტრის მაღალი სტანდარტით ფუნქციონირებისათვის, აუცილებელია უკვე არსებული სტანდარტის გადახედვა/დახვეწა, რაც ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[47] საანგარიშო პერიოდში არ გაკეთებულა.

სახელმწიფო ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლიდან 2017 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, კრიზისული ცენტრის მომსახურებით 50-მა პირმა, თავშესაფრების მომსახურებით - 232-მა, ხოლო ცხელი ხაზის მომსახურებით 3108 პირმა ისარგებლა, რითაც აღნიშნული საქმიანობების ინდიკატორით დასახული მიზანი მიღწეულია.

სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებულ ფოკუს ჯგუფის შეხვედრებში ის მსხვერპლები/დაზარალებულები მონაწილეობდნენ,, რომლებმაც ისარგებლეს ან მოცემული დროისთვის სარგებლობდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებით. თავშესაფრის სერვისის შესახებ გამოკითხული ბენეფიციარების უმრავლესობა კმაყოფილებას გამოთქვამდა და აღნიშნავდა, რომ თავშესაფარში განთავსების შემდგომ თავს მშვიდად და დაცულად გრძნობდა. თავშესაფრის ადმინისტრაციას და თავშესაფარში არსებულ პირობებს დადებითად ახასიათებდნენ. თუმცა, აღნიშნავდნენ, რომ პრობლემად რჩება თავშესაფრის დატოვების შემდგომ მსხვერპლების საცხოვრებლით უზრუნველყოფა და ფინანსური მხარდაჭერა. მწირია პროგრამები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაქმებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხითაც.

აღსანიშნავია, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მომსახურებების განსაზღვრა და მიწოდების უზრუნველყოფა სამოქმედო გეგმაში ცალკე საქმიანობადაა

---

[45] თბილისი, გორი, ქუთაისი, სიღნაღი და ბათუმი.

[46] თავშესაფრის მოწყობა (შენობა-ნაგებობის შეძენა, სარემონტო სამუშოები და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა) განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის, აშშ–ს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერითა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით.

[47] გადაიხედა და შესაბამისი ცვლილებების პროექტი მომზადდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 31 მაისის N153/ნ ბრძანებით დამტკიცებული „კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტებთან“ დაკავშირებით.

გამოყოფილი (3.1.7). ამ მიმართულებით, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო ფონდმა[48] მოამზადა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც დეტალურად განიხილავს სექსუალური ძალადობის საკითხებს, მის მასშტაბებს, შედეგებს, მსხვერპლთა დახმარებისათვის აუცილებელ სერვისებსა და არსებულ გამოწვევებს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის კუთხით[49].

მისასალმებელია, რომ საანგარიშო პერიოდში დაინერგა ცხელი ხაზის მომსახურება როგორც ოჯახში ძალადობის, ასევე სექსუალური ძალადობის საკითხებზე. ცხელი ხაზის ხელმისაწვდომობა ქართული ენის გარდა, უზრუნველყოფილია დამატებით 7 ენაზე.[50]

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა ძალადობის მსხვერპლთა მიმართ გატარებული ღონისძიებების/მომსახურებების მონიტორინგის სისტემის შექმნასა და დანერგვას (3.1.4). ამ საქმიანობის შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები, სამოქმედო გეგმის მიხედვით, იყვნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მონიტორინგის ნაწილში) და საუწყებათაშორისო საბჭო. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მონიტორინგს მხოლოდ ფონდი ახორციელებდა, საუწყებათაშორისო საბჭოს კი, საანგარიშო პერიოდში სუპერვიზიის სისტემის შექმნისა და დანერგვის საკითხებზე, არ უმუშავია.

აღსანიშნავია, რომ გეგმით გაწერილი აქტივობების უმეტესობა შესრულებულია, თუმცა პრობლემად რჩება ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ეფექტიანი სისტემის შემუშავება. სამწუხაროდ, დაბალია ცნობიერება იმ მომსახურებებთან დაკავშირებით (იურიდიული, ჯანდაცვისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სერვისები), რომელთა მიღებაც შესაძლებელია თავშესაფრის სერვისისაგან დამოუკიდებლად და მომავალში ამ კუთხით ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია. ისევე როგორც ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის სიტუაციის გრძელვადიანი მონიტორინგის სისტემის გაწერა, მათი ეკონომიკური და სოციალური რეაბილიტაციის გეგმის ხარისხიანად შესასრულებლად.

მიმართულება IV: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) მონაწილეობა

[48] პროექტის, „ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია“, ფარგლებში

[49] სახელმძღვანელოში დეტალურად აღიწერა შემდეგი საკითხები: ომი და სექსუალური ძალადობა; სექსუალური ძალადობის ფიზიკური შედეგები; სექსუალური ძალადობის ფსიქო-ემოციური შედეგები; სექსუალური ძალადობის სოციალური შედეგები; სამედიცინო სფეროს სპეციალისტების როლი სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად. 2016 წელს, ფონდის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისთვის, პროექტის ფარგლებში ჩატარდა საპილოტე ტრენინგი „სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების საკითხები“, რომელსაც დაესწრო 37 პირი.

[50] ინგლისური, რუსული, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური, არაბული და სპარსული.

სამოქმედო გეგმის ბოლო მიმართულება მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლების/დაზარალებულების მონაწილეობას შესაბამისი პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში (4.1). ამ საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები იყვნენ საუწყებათაშორისო საბჭო და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ჩაატარა ფოკუს ჯგუფის შეხვედრები ძალადობის მსხვერპლებთან/დაზარალებულებთან, რომელთა ნაწილიც სარგებლობდა, ან უსარგებლია სახელმწიფო სერვისებით.

სამართალდამცავთა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება

გამოკითხულთა ინფორმაციით, ყველაზე გავრცელებული პრობლემა კვლავ ძალადობის შემთხვევების დროულ იდენტიფიკაციას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოვლენა ცალსახად გაზრდილია, მსხვერპლებს მაინც დიდი ძალისხმევა სჭირდებათ იმის დასამტკიცებლად, რომ ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობისა და მუქარის მსხვერპლები არიან და შესაბამისი სერვისებით დახმარებას საჭიროებენ, მაშინ, როდესაც, სამართალდამცავი ორგანოები, უბნის ინსპექტორის მექანიზმის გამოყენებით, თავად უნდა ახდენდნენ ოჯახში ძალადობის პრევენციასა და არსებული მდგომარეობის მონიტორინგს:

> *„თუ ქალი არ არის ნაცემი, ნეკნები არა აქვს ჩატეხილი და სისხლი არ მოსდის, მანამდე პოლიცია არ რეაგირებს“;*
>
> *„მთელი ბიუროკრატია დამჭირდა იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ უნდა გამოცემულიყო შემაკავებელი ორდერი. ტელეფონზე რომ მირეკავს და მემუქრება მოკვლით, რატომ არ არის ეს საკმარისი ფაქტი სასამართლოსთვის. ქალები ძალიან დაუცველები ვართ ამ შემთხვევაში“.*

უბნის ინსპექტორებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის მიერ მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა რეგიონებში, რადგან ნაცნობობისა და პირადი კავშირების გამოყენებით, მოძალადეები ახერხებენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისაგან ლოიალური დამოკიდებულების მოპოვებას, რის გამოც, ოჯახში ძალადობის მძიმე შემთხვევებშიც კი, ეს უკანასკნელნი, ხშირად მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლებიან. მსხვერპლთა თქმით, ამ ვითარებაში პრობლემაა კონფიდენციალობის დაცვის საკითხიც.

ძალადობის მსხვერპლებისადმი სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა გულგრილი დამოკიდებულება პირდაპირ იწვევს ძალადობის მსხვერპლთა მეორად ვიქტიმიზაციას, რაც მათ დაუცველობის განცდას ერთიორად ზრდის:

„პოლიციაში რომ მიდიხარ, თითქოს დაგცინიან და მითუმეტეს რეგიონებში, პირდაპირ გეუბნებიან, რომ ქალი ხარ და უნდა მოითმინო და აიტანო. ვგრძნობდი, რომ უფრო მოძალადისკენ იყვნენ, მაგრამ მე არ მივეცი იმის საშუალება, რომ ჩემი უფლებები დარღვეულიყო. ვინც არ იცის ეს უფლებები, იმისთვის ძალიან რთულია. თუ უსუსური ხარ, იქ ცოტა სხვანაირად გექცევიან. ელემენტარული, როცა მივედი ნაცემი, მეკითხებოდნენ რომ სად არის ექსპერტიზის დასკვნაო. იქამდე მივიდა საქმე, რომ გენერალურ ინსპექციაში დავრეკე";

„როდესაც გამოვიძახე პოლიცია, მითხრეს რომ მოიქეცი ისე, როგორც შენი მოძალადე ძმა გეუბნება და აღარ გცემსო. ეს ჩემთვის ძალიან მიუღებელი იყო";

„პოლიციასთან როდესაც მიდიხარ დასახმარებლად, იქედან გრძნობ მაინც რომ ჯობდა ძმისთვის გეთქვა ან მეგობრისთვის, რადგან თვითონ აუცილებლად გეტყვიან ასე. მე თავად გადავდგი ეს ნაბიჯი. 2-3- ჯერ მივმართე პოლიციას. ერთხელ შემაკავებელი გამოსცეს და მირჩიეს, რომ ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში 9 წლიანია და გადამაფიქრებინეს ასეთი განცხადების დაწერა".

სამართალდამცველთა დამოკიდებულებების შეფასება

გამართული ფოკუს-ჯგუფის შეხვედრებისას მსხვერპლებმა ისაუბრეს იმ ბარიერებზე, რომლებსაც ისინი სამართალდამცავ უწყებასთან ურთიერთობისას აწყდებიან. ძალადობის მსხვერპლთათვის და დაზარალებულთათვის დაბრკოლებას წარმოადგენს პოლიციის განყოფილებაში არსებული ბიუროკრატიული წესები და პროცედურები. გამოკითხული მსხვერპლების ნაწილი უთითებდა, რომ ერთსა და იმავე საკითხზე რამდენჯერმე მოუწიათ ახსნა-განმარტების მიცემა, და შესაბამისად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფნა პოლიციის განყოფილებაში.

მსხვერპლები აცხადებდნენ, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა სტერეოტიპული დამოკიდებულებები ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობაზე მკვეთრად უარყოფითად მოქმედებს. ისინი ხშირად იკიცხებიან სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვის გამო, დამცინავად ან დამაკნინებელად ექცევიან, ან მათ მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს სერიოზულად არ აღიქვამენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სტერეოტიპული დამოკიდებულება ძალადობის მსხვერპლთა მიმართ დიდი პრობლემაა და ძალადობის მსხვერპლების მიერ ძალადობრივი გარემოდან თავის დაღწევას ერთიორად ართულებს. მსხვერპლთა თქმით, განსაკუთრებით თვალშისაცემია ეს პრობლემა იმ შემთხვევაში, როდესაც მოძალადე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელია, ან სამხედრო სამსახურში მსახურობს.

პოლიციელთა მხრიდან მიკერძოებულობის განცდა ჰქონდათ იმ მსხვერპლებსაც, რომელთა მოძალადე მეუღლეც უწყების თანამშრომელია. შეხვედრის რამდენიმე მონაწილე ფიქრობდა, რომ მისი მეუღლე პოლიციის ფარული თანამშრომელი - ე.წ. ინფორმატორი იყო და სწორედ ამის გამო არ ისჯებოდა. ზოგიერთმა მონაწილემ უკმაყოფილება უბნის ინსპექტორის მიმართაც გამოთქვა, რომელიც მოძალადესთან ნაცნობობის გამო, არ ახდენდა რეაგირებას. ასევე, მსხვერპლს მიაჩნდა, რომ მოძალადის მიმართ მკაცრი ზომები იმიტომ არ ტარდებოდა, რომ მისი ახლობელი უწყებაში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა:

> *„ჩემი ქმარი სასამართლოში მოვიდა სამსახურის ფორმით (სამხედრო ფორმა) და ეს იყო იმის მანიშნებელი, რომ შესაბამისი სასჯელი არ გამოეცათ. უწყებები სოლიდარულები იყვნენ მის მიმართ“.*

რიგ შემთხვევებში, მსხვერპლი არ არის ინფორმირებული იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც პოლიციის მხრიდან მათ საქმესთან დაკავშირებით გატარდა. შეხვედრის მონაწილეთა ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, აღიძრა თუ არა სისხლის სამართლის საქმე მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობის ფაქტზე.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ფოკუს-ჯგუფებზე გაჟღერებული ინფორმაციით, რამდენიმე შემთხვევაში, ადგილზე მისულმა პოლიციელმა არ იცოდა ოჯახში ძალადობის კუთხით არსებული დაცვისა და დახმარების მექანიზმების, მათ შორის, თავშესაფრის არსებობის შესახებ, რამაც მსხვერპლს, დამატებით, იმედგაცრუებისა და უნდობლობის განცდა გაუჩინა, რადგან დროულად ვერ გადაიყვანეს უსაფრთხო ადგილას.

დაცვისა და დახმარების მექანიზმების შეფასება

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებული რისკის შეფასება, მსხვერპლთათვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. სახალხო დამცველის აპარატში არსებული ინფორმაციის თანახმად, ხშირად, მსხვერპლი/დაზარალებული ოჯახში ძალადობის საკმაოდ მძიმე ფაქტებზე მიუთითებს, მაგრამ პოლიციის მიერ საქმეში მხოლოდ შემაკავებელი ორდერი ან გაფრთხილება გამოიყენება. შემაკავებელი ორდერის, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმის გამოყენების ეფექტიანობა, რიგი შემთხვევების დასარეგულირებლად, მართალაც ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, როდესაც მსხვერპლი აშკარა დანაშაულებრივ შემადგენლობაზე მიუთითებს, ან საქმის მასალების შესწავლის შედეგად სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება, აუცილებელია გამოძიების დროულად დაწყება.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ სამართლებრივი უწყებები არ ახორციელებენ გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერების მონიტორინგს. პრობლემაა ოჯახში ძალადობის და ქალის მიმართ ძალადობის რისკის ადეკვატური შეფასებაც. რისკის შეფასებისა და ოჯახში ძალადობის მონიტორინგის არარსებობის პირობებში, ძალადობისა და ფატალური შედეგისაგან თავის დასაცავად მათ

ხშირად უწევთ ისეთი რადიკალური გადაწყვეტილების მიღება, როგორიცაა შვილებთან ერთად სახლის დატოვება, და საცხოვრებლად თავშესაფარში გადასვლა, მაშინ, როდესაც მოძალადე, რომლისგანაც საფრთხე მომდინარეობს, განაგრძობს ჩვეულებრივ ცხოვრებას.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა მოძალადისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას ითვალისწინებს, აღნიშნული სერვისის მიწოდება პრაქტიკაში დანერგილი არ არის. მოძალადეთა ქცევის კორექციის ღონისძიებებთან დაკავშირებით, მსხვერპლებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული პრაქტიკა, პირველ ყოვლისა, თავად მოძალადეთა რესოციალიზაციისათვის იქნება აუცილებელი:

> *„ამ [ქცევის კორექციის] შემთხვევაში დარწმუნებული ვარ, რომ შეიცვლებოდა მისი დამოკიდებულება, რადგან მოუხდა ოში წასვლა, სხვადასხვა ტრავმების გადატანა და მისთვის აუცილებელი იყო მსგავსი კურსის გავლა“;*
>
> *„შესაძლებელია ფსიქოლოგი რაღაც დონეზე დაეხმაროს, თუმცა ვფიქრობ, ადამიანს, როცა შინაგანად მოძალადეა, არაფერი უშველის“;*
>
> *„მე არ მჯერა, რომ მოძალადე გამოსწორდება, თუ შიში ექნება, რომ აღარ ჩაიდინოს ასეთი ფაქტი. სხვა შემთხვევებში, თუ ძალადობის შანსი 99%-ია, სწორი რეაბილიტაციის პირობებში შესაძლებელია ეს ჩამოვიდეს 70%-ზე“.*

აგრეთვე გამოიკვეთა სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც მსხვერპლთა ნაწილს არაადეკვატურად მიაჩნია. რამდენიმე შემთხვევაში მოძალადეს პირობითი სასჯელი ჰქონდა შეფარდებული და ზოგიერთ შემთხვევაში - ჯარიმა, რაც ოჯახისთვის დამატებითი ტვირთი აღმოჩნდა და ამ თანხის გადახდა ისევ მსხვერპლს უწევდა.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებმა/დაზარალებულებმა დაცვისა და დახმარების მექანიზმებთან დაკავშირებით ასევე მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ გამოყენებული დაცვისა და დახმარების მექანიზმების რაობა, შედეგის მისაღწევად, დამოკიდებული უნდა იყოს ძალადობის ფორმაზე, ხანგრძლივობასა და ხასიათზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოიკვეთა ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის ფორმა, რომელიც სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან განსაკუთრებულ შესწავლას, მონიტორინგსა და შეფასებას საჭიროებს, ხოლო ამგვარი ძალადობის მსხვერპლნი თვისობრივად სხვა ტიპის სარეაბილიტაციო სერვისებს საჭიროებენ.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, შესაძლოა ითქვას, რომ ძალადობის მსხვერპლები და დაზარალებულები საკმაოდ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისებთან, მათ ნაკლოვანებებსა და დადებით

მხარეებთან დაკავშირებით და მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა არა მხოლოდ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, არამედ, შესაბამისი პოლიტიკისა და რაც მთავარია - კანონმდებლობის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესში.

რეკომენდაციები

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყებათაშორის კომისიას:

- დროულად განხორციელდეს ეროვნული რეფერალური მექანიზმის დამტკიცება; ასევე, მოხდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შეფასება და ამის საფუძველზე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება;
- შეიქმნას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიური სტანდარტი, რათა მოხდეს მისი შემდგომი დამუშავება და მონაცემთა ბაზის განახლება;
- ხელი შეეწყოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე უწყვეტი ტრენინგ-პროგრამების შემუშავებასა და დანერგვას;
- ხელი შეეწყოს პასუხისმგებელ უწყებებში, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა/დამტკიცებას;
- მეტი ყურადღება დაეთმოს ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ, საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად გამართულ საინფორმაციო შეხვედრებს;

საქართველოს პარლამენტს:

- დროულად მოხდეს სექსუალური შევიწროების საკანონმდებლო რეგულაციის განხორციელება;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- განხორციელდეს სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მუდმივ რეჟიმში გადამზადება ოჯახში ძალადობის და გენდერული ძალადობის მიმართ მგრძნობელობის გაზრდის მიზნით;

- მოხდეს გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების მონიტორინგის სისტემის დანერგვა და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მონიტორინგი გაეწიოს ოჯახში ძალადობის შემთხვევის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განუხრელ შესრულებას;
- გაიწეროს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რისკის შეფასების ინსტრუქცია და თითოეულ ოჯახში ძალადობის საქმეზე შემუშავდეს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა;
- გაანალიზდეს სსიპ 112–ის სამსახურში შესაძლო ოჯახში ძალადობის და ოჯახური კონფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინებები;
- შეიქმნას სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი გენდერული ნიშნით ჩადენილ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე რეაგირებაზე;
- გაძლიერდეს კოორდინაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სოციალურ სამსახურს შორის, ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა ეფექტიანი დახმარების მიზნით;
- ოჯახში ძალადობის საქმეების შესწავლისას მოხდეს ძალადობის ისტორიის გათვალისწინება;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- მოხდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება სასწავლო გეგმებში, სწავლების ყველა საფეხურზე;
- მოხდეს მასწავლებელთა მუდმივი გადამზადება ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ რეფერალური მექანიზმის და შესაბამისი რეაგირების განხორციელების თაობაზე;
- განხორციელდეს ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების პროფესიულ პროგრამებში ინტეგრირება და დანერგვა;
- უზრუნველყოფილი იქნას გენდერული ძალადობის პრევენცია და სასწავლო პროცესებში თანასწორი, დისკრიმინაციისა და სიძულვილისგან დაცლილი ღირებულებების დამკვიდრება;
- განხორციელდეს სკოლის მიტოვების მიზეზების აღრიცხვის მონიტორინგი;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შემუშავებულ იქნას სოციალური მუშაკების უფლებამოსილებებისა და როლის განმსაზღვრელი დოკუმენტი;

მუნიციპალიტეტების ორგანოებს:

- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში, და უზრუნველყოფილი იქნას შეხვედრების შესაბამის ენაზე გამართვა;

საქართველოს უზენაეს სასამართლოს:

- განხორციელდეს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების გენდერული ანალიზი;

- მოხდეს დამცავი ორდერების კლასიფიკაცია და დეტალური ანალიზი, მათ შორის, ძალადობის ფორმების მიხედვით;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- მეტი ყურადღება დაეთმოს სექსუალური ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას და, შესაბამისად, გაუმჯობესდეს სერვისის მიწოდების ხარისხი;
- მიღებულ იქნეს ზომები მსხვერპლთა სარეაბილიტაციო სერვისებზე, ტერიტორიული ხელმისაწვდომობის კუთხით;
- უზრუნველყოფილ იქნეს თავშესაფრის ბენეფიციართა მდგომარეობის ეფექტიანი მონიტორინგი მუდმივად, მას შემდეგ, რაც ისინი დატოვებენ თავშესაფარს, სოციალურ სამსახურთან კოორდინაციით;
- უზრუნველყოფილ იქნას ცნობიერების ამაღლება იმ მომსახურებებთან დაკავშირებით, რომელთა მიღებაც შესაძლებელია თავშესაფრის სერვისისაგან დამოუკიდებლად, მათ შორის იურიდიული, ჯანდაცვისა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისები;
- მეტი ყურადღება დაეთმოს მსხვერპლთა/დაზარალებულთა ჩართულობას კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში.